მინდობილობა #22

წინამდებარე მინდობილობით, მე, **თამაზ შარიქაძე** (პირ ნომერი: 01019007389) როგორც *შპს „ედესი ჯგუფი“-ს* (ს/კ:203868635) დირექტორი და დამფუძნებელი ვენდობი:
ლადო ჭანტურიას (დაბადებული 10.05.1984 წელს, თბილისში, მის: ქ.თბილისი, მერი დავითაშვილის 27, პირადი ნომერი:01024032026)

ზემოაღნიშნული რწმუნების განსახორციელებლად მინდობილი პირი, უფლებამოსილია შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მინდობილობის გამცემის სახელით შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი ან/და შესაგებელი სასამართლოებში და სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, ჩაიბაროს საქმესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და დადგენილებები, გააკეთოს ამონაწერები მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარმოადგინოს მტკიცებულებანი, მისცეს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები, წარმოადგინოს თავიანთი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, ნაწილობრივ ან მთლიანად თქვას უარი სარჩელზე,გამოითხოვოს იგი, გაზარდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, დაამთავროს საქმე მორიგებით, გაასაჩივროს სასამართლოს (ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს) ნებისმიერი აქტი , წარადგინოს სააპელაციო და საკასაციო საჩივარი,იყოს წარმომადგენელი სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საერთო სასამართლოების არქივში, წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად, ყველა სახის გარიგებაში, მოაწეროს ხელი ფირმის სახელით, გააფორმოს ხელშეკრულებები, გაასხვისოს ან შეიძინოს ფირმის ქონება,მიიღოს და ჩაიბაროს *შპს „ედესი ჯგუფი“-ს* სახელზე ჩამოსული ტვირთი, აკონტროლოს ბანკის ანგარიშები, გადაუფორმოს ან გადმოიფორმოს ავტომობილი.გაასხვისოს ან შეიძინოს ყველა სახის უძრავი ქონება ფირმის სახელით, განაბაჟოს ტვირთი ,აიღოს სახელმწიფო სანიშნე ნომერი,იყიდოს ან გაყიდოს ავტომობილი, განაბაჟოს ავტომობილი,აიღოს ან შეცვალოს ავტომობილის რეგისტრაციის მოწმობა(პასპორტი) გადაიხადოს თანხა *შპს „ედესი ჯგუფი“-ს* სახელით. იყოს *შპს „ედესი ჯგუფი“-ს* წარმომადგენელი ყველა კომერციულ ორგანიზაციაში. შეასრულოს ყველა სახის ოპერაცია, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით და კონსტიტუციით. იყოს *შპს „ედესი ჯგუფი“-ს* წარმომადგენელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურში, საჯარო რეესტრში,იუსტიციის სახლში და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ყველა დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში. გაასხვისოს; შეიძინოს; შეაკეთებინოს და მოახდინოს ყველა სახის ოპერაცია დაკავშირებული საკონტროლო სალარო აპარატთან. მიიღოს ყველა სახის ექსპერტიზის დასკვნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული *შპს „ედესი ჯგუფი“-ს* სახელზე. არავინ არ შეიძლება ეჭქვეშ დააყენოს მინდობილი პირის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ ამ მინდობილობაში მინდობილი პირის უფლებამოსილებანი ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მინდობილობის გამცემის ინტერესების დასაცავად იმ საკითხებში, რაც მითითებულია მინდობილობის პირველ ნაწილში.

დირექტორი:
თამაზ შარიქაძე _____
გაცემულია: 22.01.2021
ძალაშია: 31.12.2021

შ.პ.ს. ედესი ჯგუფი GEORGIA საქართველო ედესი EDESI GROUP L.T.D. 203868635